TAV Georgia

თარიღი : 02 / 07 / 2021
ნომერი : TAV.GM.7022

შპს „კონსტმატის"
მინდობილ პირს
ბატონ ზურაბ შუბითიძეს
ტელ: 558 25 97 97

ბატონო ზურაბ,

თქვენი 2021 წლის 01 ივლისის განცხადებისა და მასზე თანდართული მასალის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 81.08.16.370) მდებარეობს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებების შემზღუდველი ზედაპირებით შემოფარგლული აეროდრომის რაიონში და მასზე მიწის ზედაპირიდან +14 მეტრი სიმაღლის ბიზნეს ცენტრის შენობის აშენება დასაშვებია.

პატივისცემით,

თეა ზაქარაძე
გენერალური მენეჯერი

მურათ ჯევჰერი
გენერალური მენეჯერის მოადგილე

ZG

TAV Urban Georgia LLC
Tbilisi International Airport
0158 Tbilisi, Georgia
T: +995 32 2 310 265
F: +995 32 2 310 322
www.tbilisiairport.com

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

1–2316

ბრძანება №_____

23 ოქტომბერი

"____"_____2017 წ.

ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, სოფელ დიდ ლილოში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №81.08.16.370), ინდივიდუალური ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2017 წლის 12 ოქტომბრის №41 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: №81.08.16.370), მსუბუქი კონსტრუქციის მრავალფუნქციური კომპლექსის (მაღაზია, საოფისე, ბიზნეს ცენტრი) განთავსების მიზნით, მიენიჭოს ინდივიდუალური ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრები.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

მერს. ბატონ. კახა კალაძეს

მოქ. [illegible]

მცხ. ქ. თბილისი. [illegible]

I კვ. I კორპ. ბინა 48

Tel: 558 25 07 97.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

[illegible] ქ. თბილისის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] წერილზე № 1-2316 23/10/2017წ. [illegible]

06/07/2021.